



ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

მიზანი 4.3

მიზანი 4.3. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა

მიზნის შესრულების პროგრესი: 72.5785%

მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია წლების მანძილზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, რაც სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამების მწირი რაოდენობითა და სპორადული ხასიათით, ასევე მათში ჩართული მსჯავრდებულების მცირე რიცხვით იყო განპირობებული. თუ ეროვნული და საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშების მიხედვით ვიმსჯელებთ, რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის მხრივ მდგომარეობა არც 2018 წლის მანძილზე გაუმჯობესებულა: ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი თავის 2018 წლის ანგარიშში წუხილს გამოთქვამს სარეაბილიტაციო პროგრამებისა და აქტივობების თვალსაზრისით პროგრესის ნაკლებობის გამო,^[1] ხოლო საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში საუბარია რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით გატარებული ღონისძიებების ფრაგმენტულობასა და მათ მოურგებლობაზე მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე.^[2] მონიტორინგის ორივე ორგანო განსაკუთრებით უსვამს ხაზს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით არსებულ მძიმე ვითარებას დახურულ და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში, სადაც მსჯავრდებულებს კვლავ სულ მცირე 23 საათის მანძილზე საკნებში უწევთ ყოფნა.

ამასთან უნდა აღნიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში, ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ძალისხმევით, პენიტენციურ სისტემაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით: ევროკავშირის პროგრამის ექსპერტთა მიერ შეიქმნა და განახლდა რისკისა და საჭიროებების შეფასების მეთოდოლოგია, შემუშავების პროცესშია ასეთივე ინსტრუმენტი არასრულწლოვნებისთვის, შემუშავდა და დაინერგა სასწავლო პროგრამები პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის, შემუშავდა სარეაბილიტაციო პროგრამების ჩარჩო სამ კლასტერად, გათავისუფლებისთვის მომზადების კონცეფცია და ა.შ. ყველა ამ სიახლის ადეკვატური იმპლემენტაციის შემთხვევაში, მომავალ წლებში მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის თვალსაზრისით შესაძლებელია სერიოზული პროგრესის მიღწევა.

აქვე უნდა აღნიშნოს დადებითი სიახლე, რომელიც 2019 წელს განხორციელდა - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში შეიქმნა მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტი, რომლის დებულებაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 10 ივნისის N418 ბრძანებით დამტკიცდა და რომელშიც პენიტენციური სისტემის სოცმუშაკები და ფსიქოლოგები გაერთიანდნენ. სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინფორმაციით, „ცენტრალიზებული სისტემა ერთგვაროვან მიდგომებს და ეფექტიან სარეაბილიტაციო მომსახურებას უზრუნველყოფს. სოციალური მუშაკები ფუნქციების მიხედვით გაიყო ორ ნაწილად: შემთხვევის მმართველი და შემთხვევის ადმინისტრატორი. სოციალური მუშაკი - შემთხვევის მმართველის ფუნქცია მსჯავრდებულის შეფასება, მისთვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებაა, ხოლო შემთხვევის ადმინისტრატორის ფუნქცია შემთხვევის ადმინისტრირებაა, იგი შემთხვევის მმართველის დამხმარეა და მსჯავრდებულის გარე სამყაროსთან კომუნიკაციას და უფლებების ადვოკატირებას უზრუნველყოფს.“^[3] იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული ცვლილება დადებითად აისახება პატიმრების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების ხარისხზე.

^[1] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 72

^[2] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი, გვ. 41-43

^[3] <https://www.facebook.com/moc.gov.ge/videos/2571384346421667/>

ამოცანა 4.3.1. მსჯავრდებულ/ბრალდებულთათვის ფსიქოსოციალური, საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების და სარეკრეაციო პროგრამების გაუმჯობესება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 42.5%

ინდიკატორი: პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგილი ფსიქოსოციალური ტრენინგებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების ურთიერთმიმართება არსებულ საჭიროებებთან

საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა მზარდი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით

შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით

შეფასება:

ამოცანა 4.3.1-ის შესრულების თვალსაზრისით, პირველ რიგში, დადებითად აღსანიშნავია ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ძალისხმევა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ერთიანი მიდგომის დამკვიდრების თვალსაზრისით: საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და განხილვის ფაზაშია პროგრამების ერთიანი სტანდარტი, რომელიც განახლებულ მიდგომას წარმოადგენს მსჯავრდებულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდაჭერისთვის, ასევე აღსანიშნავია სისტემაში მომუშავე ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების გადამზადება თანამედროვე მიდგომებსა და მეთოდებში.

ასევე დადებითად უნდა აღნიშნოს მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების უფლების კანონმდებლობაში ასახვა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სიახლით ვერ ისარგებლებენ მაღალი რისკის დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულები.

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდი დადებითი დინამიკით არ გამოირჩეოდა პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების თვალსაზრისით.

აქტივობა 4.3.1.1. პროგრამების ერთიანი სტანდარტის შემუშავება და პროგრამების პაკეტის შექმნა სპეციალური ჯგუფების გათვალისწინებით (მათ შორის, ძალადობაზე, ქცევის კორექციაზე, ნივთიერება დამოკიდებულობაზე,

აზროვნების და ხედვის შეცვლაზე, ჯანსაღ ცხოვრებაზე, გათავისუფლებისათვის მზადებაზე და სხვა)

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგილი ფსიქოსოციალური ტრენინგებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების ურთიერთმიმართება არსებულ საჭიროებებთან

საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა მზარდი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით

შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 40%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

შეფასება

აღნიშნული საქმიანობა ჯერ კიდევ 2016-17 წლების სამოქმედო გეგმაში ფიგურირებდა (საქმიანობა 4.4.3.1). მიუხედავად ამისა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სარეაბილიტაციო პროგრამების ერთიანი სტანდარტი დღემდე არ არის შემუშავებული.

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ექსპერტების მიერ შემუშავდა სარეაბილიტაციო პროგრამების ჩარჩო, რომელიც სამ მიმართულებად იყოფა:

1. დანაშაულზე ფოკუსირებული სარეაბილიტაციო პროგრამები
2. დანაშაულებრივ ქცევაზე ფოკუსირებული პროგრამები
3. ზოგადი სოციალურ-კოგნიტიური უნარების განვითარების პროგრამები

აღნიშნული პროექტი ამ ეტაპზე შიდაუწყებრივი განხილვის სტადიაზეა და დამტკიცებული არ არის. ამასთან, გარკვეული მიმართულებებით უკვე ხორციელდება მუშაობა, კერძოდ:

პირველი მიმართულებით შემუშავდა და დანერგვის პროცესშია სარეაბილიტაციო პროგრამა ოჯახში მოძალადეებისთვის და პროგრამა მავნე ნივთიერებადამოკიდებულ პირთათვის. შემუშავების პროცესშია მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც ფოკუსირებული იქნება სექსუალური მოძალადეების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე.

მეორე მიმართულების პროგრამებში განხორციელდება ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა მსჯავრდებულებთან, რომლის ფარგლებშიც, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით და შემთხვევების შესწავლით მოხდება პირის დანაშაულებრივი ქცევის კორექცია.

ზოგადი სოციალურ-კოგნიტიური უნარების განვითარების კუთხით მსჯავრდებულებთან მიმდინარეობს მუშაობა ბრაზის მართვის, კომუნიკაციის, კოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავების თვალსაზრისით.

სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის თანახმად, „საანგარიშო პერიოდში გადაიხედა და დაიხვეწა პენიტენციური და პრობაციის სისტემებისთვის შემუშავებული რისკებისა და საჭიროებების ინსტრუმენტი (RNA), რომლის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის შედეგად მსჯავრდებულებისთვის განხორციელდება მათ საჭიროებებს მორგებული ინტერვენციების შემუშავება/მიწოდება. მოცემულ ეტაპზე, პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში არსებული შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე ორივე უწყებისთვის შემუშავებულია ერთობლივი სარეაბილიტაციო პროგრამები:

- „ჯგუფური სამოტივაციო პროგრამა ქალებისათვის- ქალგა“;
- „კოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების ინტერვენციის პროგრამა (TSP)“.

ორივე პროგრამის პილოტირება ჩატარებულია პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში. 2019 წელს დასრულდა ზემოაღნიშნულ პროგრამებში პენიტენციური და პრობაციის სისტემების 54 თანამშრომლების ფასილიტატორებად გადამზადება. 2020 წელს დაიგეგმა დამატებით, 3 ერთობლივი პროგრამის შექმნა-განახლება.”^[9]

^[9] ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიში, გვ. 50-51

აქტივობა 4.3.1.2. უმაღლესი განათლების ელექტრონული პროგრამის დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება:	
• სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	
ინდიკატორი:	
პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგილი ფსიქოსოციალური ტრენინგებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების ურთიერთმიმართება არსებულ საჭიროებებთან	
საგანმანათლებლოდ პროფესიულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა მზარდი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით	
შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით	
სტატუსი: არ არის შესრულებული	აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%
დაწყების თარიღი: 2018-01-01	ბოლო ვადა: 2020-12-31

შეფასება

საანგარიშო პერიოდში, უმაღლესი განათლების ელექტრონული პროგრამა არ დანერგილა.

რაც შეეხება უმაღლესი განათლების მიღების უფლებას, პატიმრობის კოდექსში 2017 წლის პირველ ივნისს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, უმაღლესი განათლების მიღების საშუალება მსჯავრდებულებს 2018 წლის იანვრიდან მიეცათ. სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2018 წლის სტატისტიკის ანგარიშის თანახმად, 2018 წლის განმავლობაში უმაღლესი განათლების მიღების უფლებით სარგებლობდა 10-დან (ოქტომბერი) 36 პატიმრამდე (დეკემბერი).

სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, „2019 წელს 34 მსჯავრდებული სწავლობდა ბაკალავრის, 3 კი მაგისტრატურის საფეხურზე. ყველა იმ უმაღლესიდან, რომელსაც გააჩნია გაციფრებული სალექციო პროგრამები, მიმდინარეობდა მასალის მიწოდება შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებებში, ოჯახის წევრების მიერ. ცენტრალიზებულად, უმაღლესი განათლების ელექტრონული პროგრამის დანერგვა ვერ ხერხდება უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი არარსებული მომსახურების გამო.“^[1]

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ უმაღლესი განათლების მიღების უფლება კვლავ არ ვრცელდება განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებზე, რაც დისკრიმინაციულია და არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.

^[1] გვ.51

აქტივობა 4.3.1.3. პროფესიულ/საგანმანათლებლო (VET) პროგრამების რაოდენობის გაზრდა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგილი ფსიქოსოციალური ტრენინგებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების ურთიერთმიმართება არსებულ საჭიროებებთან

საგანმანათლებლოდ პროფესიულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა მზარდი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით

შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

შეფასება

სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2018 წლის სტატისტიკის ანგარიშის მიხედვით, წლის განმავლობაში საგანმანათლებლო და პროფესიულ ტრენინგ-პროგრამებში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა ციხის პოპულაციის საერთო რაოდენობის 0.89-დან 5.9%-მდე მერყეობდა, რაც პრაქტიკულად არ განსხვავდება 2017 წლის მონაცემებისგან (6%) და ნაკლებია 2016 წლის მონაცემებზე (11%).

ადამიანის უფლებათა სამდივნოს სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, „2019 წელს მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებმაც განახორციელეს სხვადასხვა მიმართულების (ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, მომსახურებები, სოფლის მეურნეობა, ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი, მიმართულებათა შორისი დარგები და მეცნიერებები) 31 მოკლევადიანი პროფესიული პროგრამები (ტრენინგ-კურსი, მოდული), მათ შორის უცხო ენების შემსწავლელი კურსები (ინგლისური, ქართული (არაქართულ ენოვანი ბენეფიციარებისთვის), გერმანული). პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად 2019 წელს, პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა 268,412.00 ლარი.“ „2019 წელს, პროფესიულ მოკლევადიან პროგრამებზე სულ მომზადება გაიარა 500-მდე მსჯავრდებულმა (მათ შორის 48 პირობითმა მსჯავრდებულმა)“¹⁰; რაც სრული პოპულაციის დაახლოებით 5%-ს შეადგენს.

¹⁰ ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიში, გვ.51,52

აქტივობა 4.3.1.4. საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მომზადება/გადამზადება ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ტექნიკისა და სარეაბილიტაციო პროგრამების მიმართულებით

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგილი ფსიქოსოციალური ტრენინგებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების ურთიერთმიმართება არსებულ საჭიროებებთან

საგანმანათლებლოდ პროფესიულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა მზარდი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით

შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

შეფასება

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ფარგლებში, 2018 წლის პირველ ნახევარში შემუშავდა სასჯელაღსრულების და პრობაციის სფეროში დასაქმებული სოცმუშაკებისთვის ტრენინგების სპეციალური კურსი. 2018 წელს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 94 სოციალური მუშაკი გადამზადდა თემაზე „სოციალური მუშაობის შესავალი“^[1].

ევროკავშირის პროექტის ექსპერტის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიმართულებით, ქალბატონი სალომე ნამიჭეიშვილის განმარტებით, სოციალური მუშაკების ტრენინგი ჩატარდა სამ ეტაპად:

- პირველ ეტაპზე, 5 დღიანი ტრენინგ-კურსის ფარგლებში, ყველა სოცმუშაკი გადამზადდა პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაობის საკითხებში.
- მეორე ეტაპისთვის შიდა გასაუბრების სისტემით შეირჩა 27 სოციალური მუშაკი, რომელთაც გაიარეს 6 დღიანი სასწავლო კურსი ჩართულობის უნარ-ჩვევებში: კომუნიკაცია, ემპათია, ბენეფიციართან მუშაობის საბაზისო უნარები;
- მესამე ეტაპზე, რომელიც 4 დღიან სასწავლო კურსს წარმოადგენდა და რომელიც ასევე შერჩეულმა 27 სოცმუშაკმა გაიარა, მონაწილეებმა შეისწავლეს შემთხვევის მართვა, რისკებისა და საჭიროებების შეფასების მეთოდოლოგია.

ყველა სასწავლო კურსს თან ახლდა პრე და პოსტ შეფასების ფორმები.

2019 წლის 2 და 5 თებერვალს, ევროკავშირის პროექტის ხელშეწყობით, იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიმართა აღნიშნული სამსახურების ფსიქოლოგებისთვის პროფესიული ზედამხედველობის სესიები, რომელთა მიზანიც იყო პრაქტიკოსი ფსიქოლოგების შემთხვევების განხილვა და პროექტის საერთაშორისო ექსპერტისგან, დენი კლარკისგან, შესაბამისი უკუკავშირის, მხარდაჭერის მიღება^[2].

^[1] https://www.facebook.com/pg/TrainingCenterOfJustice/photos/?tab=album&album_id=2601163659904160&tn=-UCH-R

^[2] <https://www.facebook.com/EU4JusticeCorrections/posts/977235265808038>

ამოცანა 4.3.2. მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობის გაზრდის უზრუნველყოფა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 30%

ინდიკატორი: პენიტენციურ დაწესებულებებში საწარმოო ზონების და დასაქმების ახალი მინიკერების შექმნა; დასაქმებულთა მზარდი პროცენტული რაოდენობა.

შეფასება:

საანგარიშო პერიოდში რაიმე განსაკუთრებული სიახლე მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით არ განხორციელებულა. ამასთან, სამომავლო პერსპექტივაში გასათვალისწინებელია 2019 წლის მიწურულს განხორციელებული ინიციატივები:

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N492-ით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის დებულება, რომელიც 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. დებულების თანახმად, ცენტრის მიზანია მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა მათთვის პროფესიული განათლების უზრუნველყოფის, ასევე, მათი პროფესიული მომზადებისა/გადამზადებისა და დასაქმებისათვის მომზადების გზით.^[1] ცენტრის ამოცანები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც მსჯავრდებულთა პროფესიული საჭიროებებისა და შესაძლებლობების, ისე შრომის ბაზრის შესწავლას, საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობას მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით, მსჯავრდებულთათვის პროფესიული და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, შესაბამისი სასწავლო კურსებისა და ტრენინგების ორგანიზებას, პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე საწარმოების ფუნქციონირების ხელშეწყობას და ა.შ. ცენტრის თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან, მონაწილეობა მიიღონ დაწესებულებების მულტიდისციპლინური გუნდების მუშაობაში სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიზნით.

2019 წლის 31 დეკემბერს ასევე დამტკიცდა მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების წესი,^[2] რომელიც განსაზღვრავს მსჯავრდებულთა საჭიროებებზე დაფუძნებული პროგრამებისა და სასწავლო კურსების შემუშავებისა და მათში მსჯავრდებულების ჩართვის მოდალობებს.^[3]

ზემოაღნიშნული სიახლეები საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდეგ შევიდა ძალაში, შესაბამისად, ისინი წინამდებარე ამოცანის შესრულების ხარისხის შეფასებაში არ არის გათვალისწინებული. მომავალში, ცენტრის შესაბამისმა ძალისხმევამ შესაძლოა დადებითი გავლენა მოახდინოს მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე.

^[1] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N492 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ, 2019 წლის 31 დეკემბერი, მუხლი 1

^[2] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N491 მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების წესის დამტკიცების შესახებ, 2019 წლის 31 დეკემბერი

^[3] <https://edu.aris.ge/news/msdjavrdebulta-profesiuli-momzadeba-da-gadamzadeba-specialuri-wesit-ganxorcieldeba.html>

აქტივობა 4.3.2.1. საწარმოო ზონების და დასაქმების მინიკერების და ინდივიდუალური მეწარმეობის ხელშეწყობა /

შექმნა პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

პენიტენციურ დაწესებულებებში საწარმოო ზონების და დასაქმების ახალი მინიკერების შექმნა; დასაქმებულთა მზარდი პროცენტული რაოდენობა.

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

შეფასება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, „დასაქმების პროგრამებში ჩაბმულია 862 მსჯავრდებული, მათ შორის, 86 ქალი. მსჯავრდებულები დასაქმებულნი არიან სამეურნეო სამსახურში, სილამაზის სალონებში, დასაქმების მინიკერებსა და საწარმოო საქმიანობაში (სამკერვალო და პურის საცხობი), ასევე, ინდივიდუალურ საქმიანობაში (ხელნაკეთი ნივთების შექმნა-რეალიზაცია);“^[1]

საქართველოს სახალხო დამცველი 2018 წლის ანგარიშში აღნიშნავს: „15 პენიტენციური დაწესებულებიდან მხოლოდ ოთხ დაწესებულებაში (№5, №14, №15 და №16) ფუნქციონირებს საწარმო. პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა არ აღიქმება ისე, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი, სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულებს კვლავ უწევთ ისეთი სამუშაოების შესრულება, რომელიც ნაკლებად მისცემს პატიმარს იმის შესაძლებლობას, რომ განთავისუფლების შემდგომ შეუნარჩუნონ ან განუვითარონ თავის რჩენის უნარი.“^[2]

სახალხო დამცველი პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით არსებითი ხასიათის ცვლილებები არ განხორციელებულა.

სამინისტროს 2019 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ 2019 წლის განმავლობაში დასაქმების პროგრამებში ჩაბმული იყო 938 მსჯავრდებული, მათ შორის, 94 ქალი. მსჯავრდებულები დასაქმებულნი არიან სამეურნეო სამსახურში, სილამაზის სალონებში, სამზარეულოში, სისტემის ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიებში, დასაქმების მინიკერებსა და საწარმოო საქმიანობაში (სამკერვალო და პურის საცხობი), ასევე, ინდივიდუალურ საქმიანობაში (ხელნაკეთი ნივთების შექმნა-რეალიზაცია).

ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით:

- 2019 წელს №16 პენიტენციურ დაწესებულებაში მოეწყო სოციალური საწარმო, რომელიც შეასრულებს სხვადასხვა სახის კომპიუტერულ-ელექტრონულ დაკვეთებს;
- დაწესებულებაში მომსახურე კვების კომპანია და მაღაზიამ დაიწყო მსჯავრდებულების

- დაქირავება და დასაქმება დაწესებულების ტერიტორიაზე;
- 2019 წელს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დიგიტალიზაციის პროექტში დასაქმდა 10 მსჯავრდებული;
- 2019 წელს დაწესებულებაში მომსახურე კვების კომპანიაში „ფილანსერი“ სულ დასაქმებულია მაღაზიაში - 24 მსჯავრდებული, სასადილოში - 43 მსჯავრდებული;
- 2019 წელს ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში მოქმედ სამკერვალოში დასაქმებული იყო 25 მსჯავრდებული ქალი.

^[1] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვა, თებერვალი 2019 წელი, გვ.6

^[2] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ.56

^[3] ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიში, გვ. 53-54

ამოცანა 4.3.3. არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისთვის მზადების ხელშეწყობა, გარდამავალი მენეჯმენტის დახვეწა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 70%

ინდიკატორი: განახლებული გარდამავალი მენეჯმენტი;

გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის ბენეფიციართა საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა

აქტივობა 4.3.3.1. გარდამავალი მენეჯმენტის გადახედვა და ცვლილება საჭიროების შემთხვევაში

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

განახლებული გარდამავალი მენეჯმენტი;

გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის ბენეფიციართა საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი: 70%**

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2019-12-31

2018 წელს ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice, UNICEF-ის და „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ მონაწილეობით, მუშავდებოდა არასრულწლოვნებისთვის რისკებისა და საჭიროებების შეფასების სპეციფიკური ინსტრუმენტი, რომელიც ასევე მოიცავდა გარდამავალი მენეჯმენტის კონცეფციას - არასრულწლოვნის შემთხვევის მართვა დაიწყება პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლისთანავე და გაგრძელდება პრობაციასა და მის გარეთ.

სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში პენიტენციური, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის სისტემების ჩართულობით შემუშავდა „არასრულწლოვანთა მიმართ ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის სამოქმედო გეგმა“, რომელიც გადაეცა შუა რგოლის მენეჯერებს და პრაქტიკოსებს, ახალი მიდგომისა და გამართული გარდამავალი მენეჯმენტის სისტემებში დასანერგად. მეთოდოლოგიის პილოტირება 2019 წლის ბოლოს დაიწყო არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ. პროცესში პრაქტიკოსებისა და მათი ზედამხედველების მიერ ჩანიშნული და აღწერილი წესი მოგვცემს საშუალებას, პილოტირების 8 თვიანი პროცესის დასრულებისას მომზადდეს შესაბამისი ინსტრუქცია.^[1]

^[1] ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიში, გვ. 54

ამოცანა 4.3.4. ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 100%

ინდიკატორი: გენდერული ნიშნით შექმნილი სპეციალური ფსიქო-სოციალური პროგრამების რაოდენობა, საჭიროების მქონე მსჯავრდებულთა პროგრამებში ჩართვის მზარდი პროცენტული რაოდენობა

პროგრამებში ჩართული ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა

ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხაში საჭიროებისამებრ შეტანილი ცვლილებები

მოხსენება/ანგარიში ფსიქოსოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

შეფასება:

ტრადიციისამებრ, ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის საკითხი გაცილებით უკეთ არის უზრუნველყოფილი, ვიდრე მამაკაცი პატიმრების. საანგარიშო პერიოდში, უკვე არსებულების პარალელურად, ამუშავდა დასაქმების ორი ახალი მინიკერა, ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice დახმარებით, შეიქმნა ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოვლენის ინსტრუმენტი, ასევე, ადაპტირებული სარეაბილიტაციო პროგრამა ქალებისთვის. 2018-2019 წლის მანძილზე სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო მსჯავრდებულ ქალთა საკმაოდ დიდი რაოდენობა

აქტივობა 4.3.4.1. მცირე დასაქმების კერების გახნის შესაძლებლობის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

გენდერული ნიშნით შექმნილი სპეციალური ფსიქო-სოციალური პროგრამების რაოდენობა, საჭიროების მქონე მსჯავრდებულთა პროგრამებში ჩართვის მზარდი პროცენტული რაოდენობა

პროგრამებში ჩართული ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა

ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხაში საჭიროებისამებრ შეტანილი ცვლილებები

მოხსენება/ანგარიში ფსიქოსოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2019-12-31

შეფასება

პენიტენციურ სისტემაში მცირე დასაქმების კერების გახნის შესაძლებლობის შესწავლის შესახებ კვლევის დოკუმენტი სპეციალური პენიტენციური სამსახურის ვებგვერდზე არ არის ხელმისაწვდომი. ამასთან, სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2019 წლის მეორე ნახევარში შესწავლილი იქნა აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები სწავლების, დასაქმებისა და სხვა აქტივობების განხორციელების მიმართულებით, მათ შორის გათვალისწინებულ იქნა ქალ მსჯავრდებულთა სპეციფიკა.^[1]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა დაწესებულება ყოველთვის მეტ შესაძლებლობას სთავაზობდა მსჯავრდებულებს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, დასაქმების და სარეკრეაციო პროგრამების სახით.

ამგვარად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშის თანახმად, 2018 წელს ქალთა N5 დაწესებულებაში მოეწყო სასათბურე მეურნეობა და ამუშავდა ბამბის საპენტი საამქრო.^[2]

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ მიმოხილვაში მითითებულია, რომ საანგარიშო პერიოდში დასაქმების პროგრამებში ჩაბმული იყო 86 ქალი. დასაქმების კერებს წარმოადგენს სამეურნეო სამსახური, სილამაზის სალონი, სამკერვალო, ხელნაკეთი ნივთების საწარმო^[3]. უკვე 2019 წლის ანგარიშის მიხედვით: დასაქმების პროგრამებში ჩაბმულია 938 მსჯავრდებული, მათ შორის, 94 ქალი. მსჯავრდებულები დასაქმებულნი არიან სამეურნეო სამსახურში, სილამაზის სალონებში,

სამზარეულოში, სისტემის ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიებში, დასაქმების მინიკერებსა და საწარმოო საქმიანობაში (სამკერვალო და პურის საცხობი), ასევე, ინდივიდუალურ საქმიანობაში (ხელნაკეთი ნივთების შექმნა-რეალიზაცია).^[4]

^[1] ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიში, გვ. 55

^[2] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი, გვ.43

^[3] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვა, თებერვალი 2019 წელი, გვ.6

^[4] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ მიმოხილვა, გვ.6

აქტივობა 4.3.4.2. გენდერული ნიშნით შექმნილი სპეც. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და შესაბამისი პროგრამების შექმნა/დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

გენდერული ნიშნით შექმნილი სპეციალური ფსიქო-სოციალური პროგრამების რაოდენობა, საჭიროების მქონე მსჯავრდებულთა პროგრამებში ჩართვის მზარდი პროცენტული რაოდენობა

პროგრამებში ჩართული ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა

ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხაში საჭიროებისამებრ შეტანილი ცვლილებები

მოხსენება/ანგარიში ფსიქოსოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

სტატუსი: სრულად შესრულებულია	აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%
დაწყების თარიღი: 2018-01-01	ბოლო ვადა: 2019-12-31

შეფასება

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice,

UN Women და არასამთავრობო ორგანიზაცია ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მონაწილეობით შემუშავდა ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოვლენის ინსტრუმენტი (სკრინინგ-კითხვარი), ასევე, ადაპტირებული სარეაბილიტაციო პროგრამა, რომელიც გულისხმობს ჩაღრმავებულ მუშაობას ძალადობის მსხვერპლ ქალებთან. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში გადამზადდნენ პენიტენციური და პრობაციის სისტემის თანამშრომლებიც. ადამიანის უფლებათა სამდივნოს 2019 წლის ანგარიშის თანახმად, ინსტრუმენტმა პილოტირება გაიარა №5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში და პრობაციის ბიუროებში. ინსტრუმენტი დაინერგა პენიტენციურ სისტემაში.^[1]

სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2018 წლის ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშების თანახმად, საანგარიშო პერიოდში ფსიქოსოციალური ტრენინგები გაიარა 175 პატიმარმა ქალმა, ხოლო ფსიქოსოციალურ თერაპიაში ჩართული იყო 153 ქალი.

განსხვავებული მაჩვენებლებებია მითითებული იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ მიმოხილვაში, რომლის თანახმადაც, 2018 წლის მანძილზე, ფსიქოსოციალურ და სარეაბილიტაციო ტრენინგებში ჩაბმული იყო 397 ქალი მსჯავრდებული. 2019 წლის იმავე ანგარიშის მიხედვით, კი ფსიქოსოციალურ სარეაბილიტაციო და ფსიქოსოციალურ ტრენინგებში დაფიქსირდა 1238 მონაწილე, მათ შორის, 315 არასრულწლოვანი და 136 ქალი მსჯავრდებული;

ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, 2018-2019 წლებში პრობაციის სისტემისთვის განახლდა, ხოლო პენიტენციური სისტემისთვის შეიქმნა ერთობლივი „მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამა“, ესპანურ მოდელზე დაყრდნობით და ესპანელი ექსპერტის ჩართულობით, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში. 2019 წელს, პროგრამა წარმატებით პილოტირდა ორივე სისტემაში. 2019 წელს, №16 და №17 პენიტენციურ დაწესებულებებში და „მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამაში“ ჩართული იყო 10 ბენეფიციარი.

საბოლოო ჯამში, ორივე მონაცემის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ქალთა დაწესებულების პოპულაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ამა თუ იმ ფორმით სარგებლობდა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამებით, რაც საქართველოს პენიტენციური სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, კარგი მაჩვენებელია.

^[1] ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიში, გვ.55

აქტივობა 4.3.4.3. ქალ მსჯავრდებულთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და პროგრამების დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

გენდერული ნიშნით შექმნილი სპეციალური ფსიქო-სოციალური პროგრამების რაოდენობა, საჭიროების მქონე მსჭავრდეებულთა პროგრამებში ჩართვის მზარდი პროცენტული რაოდენობა

პროგრამებში ჩართული ქალი ბრალდებულების/მსჭავრდეებულების საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა

ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხაში საჭიროებისამებრ შეტანილი ცვლილებები

მოხსენება/ანგარიში ფსიქოსოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2019-12-31

შეფასება

იხ. საქმიანობა 4.3.4.2

აქტივობა 4.3.4.4. გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხის გადახედვა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

გენდერული ნიშნით შექმნილი სპეციალური ფსიქო-სოციალური პროგრამების რაოდენობა, საჭიროების მქონე მსჭავრდეებულთა პროგრამებში ჩართვის მზარდი პროცენტული რაოდენობა

პროგრამებში ჩართული ქალი ბრალდებულების/მსჭავრდეებულების საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა

ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხაში საჭიროებისამებრ შეტანილი ცვლილებები

მოხსენება/ანგარიში ფსიქოსოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2019-12-31

შეფასება

საანგარიშო პერიოდში გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხის გადახედვა არ მომხდარა. მსჭავრდეებულ ქალებს დაწესებულებაში

შესვლისას მიეწოდებათ გარკვეული რაოდენობის პირადი მოხმარების ნივთები და ჰიგიენური საშუალებები. სურვილის შემთხვევაში, ამ ნივთების შეძენა შესაძლებელია დაწესებულების მაღაზიაში, ხოლო ზოგიერთი მათგანი ბრალდებულ/მსჯავრდებულ ქალს შეიძლება ამანათითაც მიეწოდოს.

ადამიანის უფლებათა სამდივნოს 2019 წლის ანგარიშშიც მითითებულია, რომ 2019 წლის განმავლობაში ქალი ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან გენდერულ საჭიროებებს მორგებული ნივთებით.